შეთანხმება
N02.11.03/10/99 - 2

ქ. თბილისი 07 ოქტომბერი 2015 წელი

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **ვაკის რაიონის გამგეობა,** შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის **ნოდარ ტურძელაძის** სახით და მეორე მხრივ **შპს „სამშენებლო კომპანია მამისონი",** შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", წარმოდგენილი მისი დირექტორის **ავთანდილ ჩალაძის** სახით, ორივე ერთად წოდებულნი როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ვაკის რაიონის გამგეობის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსის 2015 წლის 07 ოქტომბრის N10-24/7737 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობასა და შპს „სამშენებლო კომპანია მამისონს" შორის ქალაქ თბილისში უჩანეიშვილის ქუჩა N14-ში გრუნტის დამჭერი რკინა ბეტონის კედლის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით მიმდინარე წლის 26 აგვისტოს გაფორმებული N02.11.03/10/99 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების მე-12 მუხლის შესაბამისად შევთანხმდით ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილების განხორციელებაზე:

1. ხელშეკრულების 2.2. პუნქტით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შემცირდეს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულების შესაბამისად და განისაზღვროს 41 509.18 (ორმოცდაერთი ათას ხუთას ცხრა ლარი და 18 თეთრი) ლარით.
2. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის ამ შეთანხმების თავში მითითებული თარიღიდან.
3. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს ვაკის რაიონის გამგეობასა და შპს „სამშენებლო კომპანია მამისონს" შორის 2015 წლის 26 აგვისტოს გაფორმებული N02.11.03/10/99 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.
4. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომელთაგან ერთი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო მეორე მიმწოდებელს.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ვაკის რაიონის გამგეობა **მისამართი:** ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ.N10ა **ტელეფონი:** 2 31 88 45 **საბანკო რეკვიზიტები**: ანგ.N: GE24NB0330100200165022 სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22 **ს/კ** 204872539	**შპს „სამშენებლო კომპანია მამისონი"** **მისამართი:** ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ N71 **საბანკო რეკვიზიტები**: სს "ბანკი რესპუბლიკა" ბანკის კოდი: REPLGE22 ანგ.N: GE08BR0100003605005998 **ს/კ** 205204250
გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი	**დირექტორი**
ნოდარ ტურძელაძე	ავთანდილ ჩალაძე